



ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება N 3

02/02/2018

3-10-4-201802021557



დაბა ხულო

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ

.....
საქართველოს ორგანული კანონის „დგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 102-ე , 103-ე მუხლების, 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 114-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

1.გაფრთხილებულ იქნას ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

2.დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - აპარატის უფროსს (ლევან ქედელიძე) უზრუნველყოს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ გაცნობის მიზნით ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეებისათვის და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის ქუჩა N5), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ დიმიტრაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა